პროექტი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა  №_ _**

2024 წლის _ _ აპრილი

ქ. წყალტუბო

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48241133; 22/04/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი მაია ზერაძე

კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48241133**
თარიღი: **22/04/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" 2024 წლის 17 აპრილის №14-4824108157 და 2024 წლის 19 აპრილის №14-482411040 წერილები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 აპრილის №06-4824109101 წერილი ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

შესაბამისად ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილებას ექვემდებარება შემდეგი:

1. **დაემატოს დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისში მძღოლის 2 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 1100 ლარი.**

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს შრომის ანაზღაურების ერთი თვის ფონდის ზრდას 2200 ლარით, წლის ბოლომდე (8 თვე) 17600 ლარით. რომელიც საჭიროებს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" 2024 წლის დამტკიცებული სუბსიდიის გაზრდას.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

დასუფთავების ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დანართი 4 ფურცლად

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72; ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

დანართი 1

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების " საშტატო ნუსხა

| # | თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეული | განაკვეთის ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | 124.0 | |
| | **ადმინისტრაცია** | **18.00** | |
| 1 | დირექტორი | 1 | 2400 |
| 2 | დირექტორის მოადგილე | 1 | 1694 |
| 4 | ადმინისტრაციის უფროსი | 1 | 1100 |
| 5 | ბუღალტერი | 1 | 1320 |
| 7 | საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი | 1 | 1100 |
| 8 | მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი | 1 | 1100 |
| 9 | მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორის თანაშემწე | 1 | 825 |
| 10 | შესყიდვების მართვის კოორდინატორი | 2 | 1100 |
| 11 | სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი | 1 | 1045 |
| 12 | შიდა მონიტორინგის მართვის მენეჯერი | 1 | 1265 |
| 13 | შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი | 1 | 990 |
| 14 | საფინანსო–ეკონომიკური მართვის კოორდინატორი | 2 | 1078 |
| 15 | დარაჯი | 3 | 605 |
| 16 | დამლაგებელი | 1 | 550 |
| | **დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისი** | **91** | |
| 17 | დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 18 | მუშების კოორდინატორი | 1 | 968 |
| 19 | მეეზოვეთა კოორდინატორი | 3 | 968 |
| 20 | აბონენტთა მომსახურების მართვის კოორდინატორი | 4 | 825 |
| 21 | მძღოლი | 15 | 1100 |
| 22 | მუშა | 28 | 990 |
| 23 | მეეზოვე | 39 | 825 |
| | **ცენტრალური პარკის ზედამხედველობის სერვისი** | 15 | |
| 24 | ცენტრალური პარკის ზედამხედველობის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 25 | მეეზოვეთა კოორდინატორი | 1 | 968 |
| 26 | მეეზოვე | 12 | 825 |
| 29 | დამლაგებელი | 1 | 594 |

წერილის ნომერი:**06-4824109101**
თარიღი: **18/04/2024**

**ადრესატი:**

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბო მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მ/წლის 17 აპრილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა „ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის" მმართველის წერილი, რომელიც შეეხება ორი ერთეული ახალი ავტომანქანის (IVEGO) დამატების გამო ორგანიზაციის საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საშტატო ნუსხაში მოხდეს ცვლილება თანდართული ცხრილის მიხედვით.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოახდინოს ცვლილება.

დანართი 2 ფურცელი.

პატივისცემით,

იასონ გაბუნია

ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

13-4824108160-48
შემოსულის №
17. 04. 24

# საქართველო
## არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი"

წყალტუბო

წერილის ნომერი: **14-4824108157**
თარიღი: **17/04/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 აპრილის №b48,48241063 ბრძანებით გადმოგვეცა ორი ერთეული ავტომანქანა IVEGO რომელიც გამიზნულია წყალტუბოს მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისის უზრუნველსაყოფად.. აღნიშნულიდან გამომდინარე ორი ახალი სპეცავტომანქანის გამო დამატებით გვესაჭიროება მძღოლის ორი შტატი.

მოგმართავთ თხოვნით, რომ დაგვიმატოთ მძღოლის ორი საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 1100 ლარი.

დავით იობიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

Davit Iobidze 53001015280

Digitally signed by Davit Iobidze
Date: 2024.04.17 16:39:13

13-4824108160-48

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხა

| № | თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეული | განაკვეთის ღირებულება |
|---|---|---|---|
| | | 124,0 | |
| | **ადმინისტრაცია** | **18,00** | |
| 1 | დირექტორი | 1 | 2400 |
| 2 | დირექტორის მოადგილე | 1 | 1694 |
| 4 | ადმინისტრაციის უფროსი | 1 | 1100 |
| 5 | ბუღალტერი | 1 | 1320 |
| 7 | საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი | 1 | 1100 |
| 8 | მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი | 1 | 1100 |
| 9 | მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორის თანაშემწე | 1 | 825 |
| 10 | შესყიდვების მართვის კოორდინატორი | 2 | 1100 |
| 11 | სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი | 1 | 1045 |
| 12 | შიდა მონიტორინგის მართვის მენეჯერი | 1 | 1265 |
| 13 | შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი | 1 | 990 |
| 14 | საფინანსო–ეკონომიკური მართვის კოორდინატორი | 2 | 1078 |
| 15 | დარაჯი | 3 | 605 |
| 16 | დამლაგებელი | 1 | 550 |
| | **დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისი** | **91** | |
| 17 | დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 18 | მუშების კოორდინატორი | 1 | 968 |
| 19 | მეეზოვეთა კოორდინატორი | 3 | 968 |
| 20 | აბონენტთა მომსახურების მართვის კოორდინატორი | 4 | 825 |
| 21 | მძღოლი | 15 | 1100 |
| 22 | მუშა | 28 | 990 |
| 23 | მეეზოვე | 39 | 825 |
| | **ცენტრალური პარკის ზედამხედველობის სერვისი** | 15 | |
| 24 | ცენტრალური პარკის ზედამხედველობის მენეჯერი | 1 | 1078 |
| 25 | მეეზოვეთა კოორდინატორი | 1 | 968 |
| 26 | მეეზოვე | 12 | 825 |
| 29 | დამლაგებელი | 1 | 594 |